

მერების შეთანხმება

რამდენადაც კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისმა კომისიამ დაადასტურა, რომ კლიმატური ცვლილება რეალობაა და რომ ამის მთავარი მიზეზი ადამიანთა მიერ ენერგორესურსების არაეფექტური გამოყენებაა;

რამდენადაც 2007 წლის 9 მარტს ევროკავშირმა ერთხმად მიიღო დოკუმენტი „ენერჯია ცვალებადი სამყაროსთვის“, რომელიც 2020 წლისათვის CO₂-ის ემისიის 20%-ით შემცირებას ითვალისწინებს ენერგოეფექტურობის 20%-ით გაზრდისა და ენერჯიის გამოყენებაში განახლებადი ენერგორესურსების 20%-იანი წილის მიღწევის ხარჯზე;

რამდენადაც „ევროკავშირის ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმა: პოტენციალის გამოყენება“ „მერების შეთანხმებას“ პრიორიტეტად აღიარებს;

რამდენადაც ევროკავშირის რეგიონების კომიტეტი ხაზს უსვამს ადგილობრივი და რეგიონული ძალების გაერთიანების აუცილებლობას, კლიმატური ცვლილებების წინააღმდეგ მიღებული ზომების ეფექტურობისთვის მმართველობის ყველა დონის ჩართულობას და „მერების შეთანხმებაში“ რეგიონების როლის გაზრდას;

რამდენადაც გვსურს ევროპის მდგრადი ქალაქების შესახებ ლაიპციგის ქარტიაში წარმოდგენილი ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების რეკომენდაციების შესრულება;

რამდენადაც ვითვალისწინებთ ალბორგის ვალდებულებებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ურბანული მდგრადობისკენ მიმართულ ბევრ მიმდინარე ღონისძიებას და ადგილობრივ „პროგრამა 21“-ს.

რამდენადაც ვაღიარებთ, რომ ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად ადგილობრივი და რეგიონული მმართველობებიც იზიარებს გლობალური დათბობის წინააღმდეგ ბრძოლის პასუხისმგებლობას და სხვა მხარეებისგან დამოუკიდებლად იღებს ამ ვალდებულებებს;

რამდენადაც ადამიანების საქმიანობის პროცესში გამოყენებული ენერჯიის შედეგად გამოყოფილი სათბური გაზების ნახევარზე მეტი პირდაპირ თუ არაპირდაპირ ქალაქებზე მოდის (მოქალაქეთა მიერ პროდუქტებითა და მომსახურებით სარგებლობის გამო);

რამდენადაც ევროკავშირის ვალდებულება, შეამციროს გამონახობლქვი, მიღწევადი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ინიციატივას ადგილობრივი მხარეები, მოქალაქეები და მათი ჯგუფები გაიზიარებენ;

რამდენადაც ადგილობრივმა და რეგიონულმა ხელისუფლებამ, როგორც მოქალაქეებთან ყველაზე ახლოს მდგომმა ადმინისტრაციულმა დონემ, უნდა გამოიჩინოს ინიციატივა და დასახოს მაგალითი;

რამდენადაც ენერჯიაზე მოთხოვნასა და ენერჯიის განახლებად წყაროებთან დაკავშირებული ბევრი ღონისძიება, რომლებიც კლიმატური ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლისათვის არის საჭირო, ადგილობრივი მმართველობის კომპეტენციაში შედის და პოლიტიკურ მხარდაჭერას საჭიროებს;

რამდენადაც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის უმჯობესია, სათბური გაზების გამოყოფის შესამცირებლად ადგილობრივ დონეზე ეფექტურ დეცენტრალიზებული ქმედებებს მიმართონ;

რამდენადაც ევროპაში ადგილობრივი და რეგიონული მმართველობები გლობალური დათბობის გამომწვევ დაზარალებულს ენერგოეფექტურობის პროგრამების, მათ შორის მდგრადი ურბანული მობილურობისა და განახლებადი ენერგორესურსების გამოყენების ხელშეწყობით ებრძვის;

ჩვენ, მერები ვთანხმდებით, რომ

ვიხელმძღვანელებთ ევროკავშირის მიერ 2020 წლისთვის დასახული მიზნებით, რომლებიც ითვალისწინებს ჩვენს ტერიტორიებზე CO₂-ის გამოყოფის მინიმუმ 20%-ით შემცირებას მდგრადი ენერჯეტიკის ხელშეწყობი სამოქმედო გეგმის განხორციელებით ჩვენი მანდატების შესაბამისი საქმიანობის სფეროებში. შეთანხმებისა და სამოქმედო გეგმის რატიფიცირება მოხდება ჩვენი შესაბამისი პროცედურების დაცვით;

მოვამზადებთ ემისიის საბაზისო კადასტრს, რომელიც საფუძვლად დაედება მდგრადი ენერჯეტიკის ხელშეწყობ სასაქმედო გეგმას;

წარმოვადგენთ მდგრადი ენერჯეტიკის ხელშეწყობ სამოქმედო გეგმას თითოეული ჩვენგანის მიერ „მერების შეთანხმების“ ოფიციალური ხელმოწერიდან ერთი წლის განმავლობაში;

იმისათვის, რათა გავატაროთ საჭირო ზომები, **ხელს შევუწყობთ საქალაქო სტრუქტურების ადაპტირებას** ადამიანთა საკმარისი რესურსების გამოყოფის ჩათვლით;

მოვახდენთ ჩვენს გეოგრაფიულ არეალში მყოფი სამოქალაქო საზოგადოების მობილიზაციას სამოქმედო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობის მისაღებად, რაც გულისხმობს გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებისა და განხორციელებისათვის საჭირო პოლიტიკისა და ზომების განსაზღვრას. სამოქმედო გეგმა მომზადდება თითოეული ტერიტორიისთვის და წარედგინება „შეთანხმების სამდივნოს“ ხელმოწერიდან ერთი წლის განმავლობაში;

წარმოვადგენთ გეგმის განხორციელების ანგარიშს შეფასების, მონიტორინგისა და შემონეშებისათვის სამოქმედო გეგმის წარდგენიდან მინიმუმ ორ წელიწადში ერთხელ;

გავუზიარებთ გამოცდილებას და ნოუ-ჰაუს სხვა ტერიტორიულ ერთეულებს;

მოვანწყობთ ე.წ. „ენერჯის დღეებს“ ან „ქალაქთა შეთანხმების დღეებს“ ევროკომისიასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, რაც მოქალაქეებს საშუალებას მისცემს, ისარგებლონ იმ უპირატესობით, რომელიც ენერჯის უფრო რაციონალური მოხმარებით მიიღწევა; ამასთანავე ადგილობრივ მასშტაბზე რეგულარულად ვაცნობებთ სამოქმედო გეგმის მიმდინარეობის შესახებ;

მონაწილეობას მივიღებთ და წვლილს შევიტანთ ევროკავშირის მერების ყოველწლიურ კონფერენციაში, რომელიც ევროპაში მდგრადი ენერჯეტიკის თემას ეთმობა;

გავავრცელებთ შეთანხმების ძირითად მისიას სათანადო ფორმით და სხვა მერებს შეთანხმებაში მონაწილეობისაკენ მოვუწოდებთ;

მივიღებთ ჩვენი წევრობის შეწყვეტას სამდივნოდან წინასწარი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში:

- i) თუ ხელშეკრულების ოფიციალური ხელმოწერიდან ერთი წლის განმავლობაში მდგრადი ენერჯეტიკის ხელშეწყობ სამოქმედო გეგმას არ წარვადგენთ;
- ii) თუ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული CO₂-ის გამოყოფის შემცირების ამოცანას არ შევასრულებთ სამოქმედო გეგმის განხორციელებლობით, ან არასთანადო განხორციელებით;
- iii) თუ ორ თანმიმდევრულ პერიოდში ანგარიშს არ წარვადგენთ.

ჩვენ, მერები, ვადასტურებთ

ევროკომისიის გადანყვეტილებას, განხორციელოს და დააფინანსოს ტექნიკური და სარეკლამო მხარდაჭერა, რაც მოიცავს შეფასებისა და მონიტორინგის მეთოდებისა და ტერიტორიებს შორის ნოუ-ჰაუს გაზიარების მექანიზმების დანერგვას, და წარმატებული ღონისძიებების სხვა ტერიტორიებზე გავრცელების ხელშეწყობას მათთვის გათვალისწინებული ბიუჯეტის ფარგლებში;

ევროკომისიის, როგორც ევროპაში მდგრადი ენერგეტიკის თემაზე გამართული ევროკავშირის მერების კონფერენციის **კოორდინატორის როლს;**

ევროკომისიის მიერ გამოთქმულ განზრახვას, ხელი შეუწყოს გამოცდილების გაზიარებას მონაწილე ტერიტორიულ ერთეულებს შორის, აქტივობების განხორციელებისთვის რეკომენდაციებისა და მისაბაძი მაგალითების მიწოდებას, და იმ არსებული ღონისძიებებისა და ქსელების დაკავშირებას, რომლებიც ადგილობრივ მთავრობებს კლიმატის დაცვის მცდელობებში ეხმარება. ეს სტანდარტები შეთანხმების განუყოფელი ნაწილი უნდა გახდეს და მოცემული უნდა იყოს მის დანართებში.

ევროკომისიის მხარდაჭერას შეთანხმების მონაწილე ქალაქების აღიარებასა და მათ შესახებ ცნობიერების ამაღლებაში „ევროპის მდგრადი ენერგეტიკის“ სპეციალური ლოგოსა და ევროკომისიის სხვა საკომუნიკაციო ობიექტების გამოყენებით;

„რეგიონების კომიტეტის“ მხრიდან შეთანხმებისა და მისი მიზნების მტკიცე მხარდაჭერას ევროკავშირში ადგილობრივი და რეგიონული მმართველობების წარმოდგენით;

დახმარებას, რომელსაც მცირე მუნიციპალიტეტებს უწევენ შეთანხმების მხარდამჭერი ნვერი სახელმწიფოები, რეგიონები, პროვინციები, კურატორი ქალაქები და სხვა **ორგანიზაციული სტრუქტურები**, რათა მათ შეძლონ შეთანხმების პირობების შესრულება;

ჩვენ, მერები, ვითხოვთ, რომ:

ევროკომისიამ და ქვეყნების მთავრობებმა დასახონ თანამშრომლობის გეგმები და მხარდაჭერის ურთიერთშეთანხმებული სტრუქტურები, რომლებიც ხელმომწერ მხარეებს დაეხმარება მდგრადი ენერგეტიკის ხელშეწყობი სამოქმედო გეგმის განხორციელებაში;

ევროკომისიამ და ქვეყნების მთავრობებმა პრიორიტეტულად მიიჩნიონ შეთანხმებაში წარმოდგენილი ღონისძიებები თავიანთ შესაბამის მხარდაჭერის პროგრამებში და ქალაქები ჩართონ პოლიტიკისა და დაფინანსების სქემების მომზადებაში ადგილობრივ დონეზე დასახული მიზნების ფარგლებში;

ევროკომისიამ მოლაპარაკებები აწარმოოს დამფინანსებლებთან სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებისათვის საჭირო ფინანსური სახსრების ხელმისაწვდომობის თაობაზე;

ქვეყნების მთავრობებმა ეროვნული ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგორესურსების სამოქმედო გეგმების მომზადებისა და განხორციელების პროცესში ჩართონ ადგილობრივი და რეგიონული მმართველობები;

ევროკომისიამ და ქვეყნების მთავრობებმა მხარი დაუჭირონ ჩვენი მდგრადი ენერგეტიკის ხელშეწყობი სამოქმედო გეგმის განხორციელებას იმ პრინციპების, წესებისა და მეთოდების დაცვით, რომლებიც მხარეთა შორის უკვე შეთანხმებულია, ან რომლებზეც მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ მომავალში გლობალურ დონეზე, კერძოდ კლიმატის ცვლილებების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციის ფარგლებში. ამასთანავე, CO₂-ის ემისიის შემცირებაში ჩვენი აქტიური მონაწილეობა შეიძლება უფრო ამბიციური და გლობალური მასშტაბის მიზნებში გადაიზარდოს.

ჩვენ, მერები მოვუწოდებთ სხვა ადგილობრივ და რეგიონულ მთავრობებს, რომ შეუერთდნენ მერების შეთანხმების ინიციატივას და მივესალმებით სხვა წამყვანი დაინტერესებული მხარეების წვლილს ამ შეთანხმების შესრულებაში.

N.B.: დანართი იხილეთ ფურცლის უკანა მხარეზე.

დანართი

1. ადგილობრივი მთავრობების როლი სამუშაოს შესრულებაში

ენერგოეფექტურობის ღონისძიებები, განახლებადი ენერჯის პროექტები და ენერგეტიკასთან დაკავშირებული სხვა ზომები შეიძლება განხორციელდეს ადგილობრივი და რეგიონული მთავრობების საქმიანობის სხვადასხვა სფეროში

- მომხმარებელი და მომსახურების მომწოდებელი

ადგილობრივ მთავრობებს უკავიათ ბევრი შენობა, რომლებიც დიდძალი რაოდენობის ენერჯის მოიხმარს გათბობისა თუ გაგრილებისთვის. საჯარო დანიშნულების შენობებში ენერჯის დაზოგვის პროგრამებისა და ღონისძიებების გატარებით შეიძლება საგრძნობლად დაიზოგოს ენერჯია.

ადგილობრივი და რეგიონული მთავრობების პასუხისმგებლობაში შედის ისეთი ენერგოინტენსიური მომსახურების უზრუნველყოფაც, როგორცაა საზოგადოებრივი ტრანსპორტი და გარე განათება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მთავრობას გარკვეული მომსახურება სხვა მომწოდებლებისთვის აქვს გადაცემული, მაინც არის შესაძლებელი ენერჯის მოხმარების შემცირების ღონისძიებების გათვალისწინება შესყიდვებისა და მომსახურების ხელშეკრულებებში.

- დამგეგმავი, განმახორციელებელი და მარეგულირებელი

მინათსარგებლობის გეგმა და სატრანსპორტო სისტემის ორგანიზება ბევრი ადგილობრივი და რეგიონული მთავრობის პასუხისმგებლობაა. ურბანულ განვითარებასთან დაკავშირებულმა სტრატეგიულმა გადაწყვეტილებებმა, როგორცაა ურბანული გადატვირთვის თავიდან აცილება, შეიძლება ხელი შეუწყოს ტრანსპორტის მიერ ენერჯის მოხმარების შემცირებას.

ადგილობრივ და რეგიონულ მთავრობებს შეიძლება ხშირად მოუწიოთ მარეგულირებლის როლის შესრულება, მაგალითად, ახალ შენობებში ენერჯის მოხმარების სტანდარტების განსაზღვრით ან განახლებად ენერჯიაზე მომუშავე ადგილობრივი დანერგვით.

- მრჩეველი, მოტივაციის მიმცემი და მისაბაძი მაგალითი

ადგილობრივ და რეგიონულ მთავრობებს შეუძლიათ ენერგოეფექტურობის შესახებ ქალაქის მცხოვრებლების, ბიზნესების და სხვა ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების ინფორმირებისა და ნახალისების ხელშეწყობა. ცნობიერების ამაღლება ძალიან მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ფართო მოსახლეობამ მდგრადი ენერგეტიკის ხელშეწყობა პოლიტიკას მხარი დაუჭიროს. ბავშვები ენერჯის დაზოგვისა და განახლებადი პროექტებისთვის უმნიშვნელოვანესი აუდიტორიაა: ისინი სკოლაში მიღებულ ცოდნას სკოლის გარეთაც გამოიყენებენ. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ხელისუფლება საზოგადოებას მდგრადი ენერგეტიკის ხელშეწყობით ღონისძიებებით მაგალითს აძლევდეს.

- მწარმოებელი და მომწოდებელი

ადგილობრივ და რეგიონულ მთავრობებს შეუძლიათ ენერჯის ადგილობრივი წარმოებისა და განახლებადი ენერგორესურსების გამოყენების ნახალისება. სითბოსა და ელექტროენერჯის კომბინირებული წარმოების ცენტრალიზებული სისტემები, რომლებიც ბიომასას იყენებს, ამის კარგი მაგალითია. ადგილობრივ და რეგიონულ მთავრობებს ასევე შეუძლიათ მოქალაქეების მიერ განახლებადი ენერგორესურსების პროექტების განხორციელების ხელშეწყობა ადგილობრივი ინიციატივების ფინანსური მხარდაჭერით.

2. წარმატების ეტალონი

„წარმატების ეტალონი“ წარმოადგენს ისეთი ინიციატივები და პროგრამები, რომლებიც ურბანულ გარემოში მდგრადი ენერგეტიკის განვითარების კონცეფციების წარმატებული განხორციელების საერთაშორისო მაგალითია. ასეთი ინიციატივებისა და პროგრამების წარმომადგენლები გამოთქვამენ მზადყოფნას, ქალაქებს გაუზიარონ გამოცდილება და დაეხმარონ ანალოგიური პროგრამების განხორციელებაში ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით. ამასთან, ისინი კისრულობენ ნოუ-ჰაუ ინფორმაციის გადაცემის ვალდებულებას ინსტრუქციების გავრცელებით, შეთანხმების ხელმოწერა მხარეთა ღონისძიებებში მონაწილეობითა და მათთან ყოველდღიური თანამშრომლობით.

3. მხარდამჭერი სტრუქტურები

მერების შეთანხმება ღია ევროპის ყველა ქალაქისთვის განურჩევლად მათი ზომისა. იმ ქალაქებმა, რომელთაც მათი ზომის გამო არ გააჩნიათ კადასტრის ან სამუშაო გეგმის მომზადებისათვის საჭირო რესურსები, მხარდაჭერა უნდა მიიღონ იმ სამთავრობო სტრუქტურებისაგან, რომლებსაც აქვთ ასეთი შესაძლებლობები. ასეთი მხარდამჭერი სტრუქტურები შეიძლება იყოს რეგიონები, ქვეყნები, პროვინციები, ავღომერაციები, III ნომენკლატურის ტერიტორიული ერთეულები, ან კურატორი ქალაქები. თითოეულ მხარდამჭერ სტრუქტურას კომისია აღიარებს შეთანხმების წამყვან მონაწილედ. შეთანხმებამ ჩართულობის ხარისხი ისევე, როგორც კონკრეტული პირობები და გადაწყვეტილების მიღების კომპეტენციები, განისაზღვრება კონკრეტული წერილობითი შეთანხმებით.